წელიწადი მეორე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

წითელი არმიელი

ფასი 5000 მანეთი.

გაზეთი გამოდის ყოველდღიურათ მასალები მიიღება რედაქც. 9—3 საათ. ყოველ დღე.
რედაქ. მისამ.: საპიორ. ქ. № 30.
პირველი სართული.

პარასკევი 10 ნოემბერი 1922 წ.

№ 139 ქართული დივიზიის-პოლიტგანყოფილების ყოველდღიური ორგანო № 139

დახმარეთ თქვენს გაზეთს.

ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ, რომლის შემოღება უეჭველად საჭირო იყო მრავალ წლობით საბჭოთა რესპუბლიკების გაპარტახებულ მეურნეობის აღსადგენათ, ჩვენი გაზეთის საქმე მძიმე მატერიალურ პირობებში ჩააყენა, რითაც ამ უკანასკნელის ყოფნა არ ყოფნის საკითხი დასვა კითხვის ქვეშ.

და, მართლაც, მაშინ, როცა მთელი რიგი დაწესებულებებისა და ორგანიზაციეებისა, გადავიდა თავის კერძო სამეურნეო ანგარიშზე, ჩვენს გაზეთს—„წითელ არმიელს", რომელსაც არავისგან არავითარი დახმარება და შემოსავალი, და, ესაჭიროება კი სახსარი თავის ხარჯების დასაფარავად, მძიმე დღეები დაუდგა.

მაგრამ, ასე იყო თუ ისე, ჩვენი გაზეთი ნახევრად მაინც ასრულებდა იმ მისიას, რომელიც მას დაკისრებული ჰქონდა ჩვენი წითელი არმიის განვითარების და აღზრდის საქმეში.

დღეს კი, ჩვენი გაზეთი უნუგეშო მატერიალურ მდგომარეობაში იმყოფება, და თუ ასე გაგრძელდა, ის იძულებული იქნება შესწყვიტოს არსებობა, რის შემდეგაც ჩვენი წითელი არმიელები დარჩებიან უორგანოთ.

ეს კი დაუშვებელია.

ჩვენ გვწამს, რომ ჩვენი წით. არმია, რომელმაც უკვე შეიყვარა თავისი ორგანო, არ დაუშვებს, რომ მისი ინტერესების ერთად ერთი დამცველი ქართულ ენაზე დახურულ იქმნას.

მაშასადამე, გამოსავალი აქ მხოლოდ ერთშია:

რაც შეიძლება თვით წითელ არმიიდან ფართო დახმარების აღმოჩენა გაზეთისთვის.

გაზ. „კრ. ვოინი", რომელიც ამ ერთი თვის წინად ისეთივე პირობებში იყო, როგორშიც ჩვენი გაზეთია დღეს, ამავე გზას დაადგა და მან მოუწოდა თავის მკითხველებს დახმარებისთვის, და მართლაც, დღეს ვხედავთ ჩვენ, რომ „კრ. ვოინი" განაგრძობს არსებობას იმ შემოწირულებებით, რომლებიც გაიღეს მისმა მკითხველებმა—თავის ჯამაგირიდან.

ამავე გზას ვადგევართ ჩვენცა, და მოვუწოდებთ ყველა ჩვენს წითელ არმ., პოლიტ-მომუშავეთ და უფ-შემადგენლობას, გაუწიონ თავის ორგანოს მატერიალური დახმარება...

ამ შემთხვევაში უმთავრეს ინიციატორობას უნდა მოჰკიდონ ხელი ჩვენმასამხკორებმა.

მათ უნდა აუხსნან ჩვენს წ. არმიელებს (საერთო კრებაზე იქნება ის, თუ კერძოთ, სულ ერთია,) რომ ყველამ შეძლების და გვარად გაიღონ თავისი წვლილი თავის გაზეთისთვის.

ამხ. სამხკორებო, წით. არმიელებო, უფრ-შემადგენლობავ, თქვენ, რომლებსაც გეგზავნებათ გაზეთი უფასოდ, ვალდებულნი ხართ გაუწიოთ დახმარება თქვენს გაზეთს.

ის დღეს საშინელ მატერიალურ გაჭირვებას განიცდის და ნუ დაუშვებთ, რომ ის ამ მიზეზით დახურულ იქმნეს.

სპეციალურად გაზეთის სასარგებლოდ მოაწყეთ ფასიანი საღამოები, დადგით წარმოდგენები და ამნაირად დაეხმარეთ თქვენს გაზეთს, რითაც მისცემთ მას საშუალებას, განაგრძოს თავისი სამსახური.

მაშ ასე ამხანაგებო, ჩვენ გვწამს, რომ ჩვენი ეს მოწოდება არ დარჩება „ხმად მღაღადებლისა, უდაბნოსა შინა", და არ დაიზარებთ თქვენი წვლილის გაღებას და შრომას თქვენი გაზეთის „წით. არმ." სასარგებლოდ.

ნა ხალხზე. შვიდი ნოემბერი იყო ხალხის ფართე მასების გრძნობების და მისწრაფებათა უშუალო და ნებაყოფლობითი გამოფენა. ზეიმში მონაწილეობა მიიღო აუარებელმა ხალხმა, ქუჩებში მწყობრათ გამოვიდენ გამოუკლებლივ ყველა მუშები. და არა მარტო მუშები მათი საზეიმო განწყობილება გადაედო საზოგადოების ფართე წრეებს, რომელთა ურიცხვმა მასამ აგრეთვე მიიღო მონაწილეობა დღესასწაულში, რაც იმას მოწმობს, რომ დიდია ახალი რეჟიმის პოლიტიკური და ფსიქოლოგიური გავლენა ე. წ. ნეიტრალურ საზოგადოებაზე"...

..."7 ნოემბერს საქართველოს მშრომელმა მასამ ერთხელ კიდევ საჯაროთ ცხადყო, თუ ვისთან არის ის და რა პოზიციაზე სდგას. მან ყველას დასანახავად სთქვა, რომ იცავს საბჭოთა წყობილებას და მხარს უჭერს მუშათა კლასის ავანგარდს-კომუნისტურ პარტიას.

დღევანდელი ცნობები

— ანგორა მოითხოვს მოკავშირეთაგან სტამბოლის ოკუპაციის დაუყონებლივ მოხსნას და ოსმალეთში არსებულ ყველა რკინის გზების ოსმალეთის მთავრობისათვის გადაცემას.

— ოქტომბრის დღესასწაული ტფილისში ჩატარდა დიდის ზეიმით.

— კომინტერნის მეოთხე კონგრესმა მიმართა იტალიის მუშებს მოწოდებით. რათა გააერთიანონ იტალიის მშრომელთა ძალები ფაშისტების ხულიგანურ ბანდების წინააღმდეგ საბრძოლველად.

— ოსმალეთის მდგომარეობის გამოურკვევლობის გამო შესაძლოა ლოზანის კონფერენციის გადადებ.

ახლო აღმოსავლეთის ამბები.

— ანგორის მთავრობამ გადასცა მოკავშირეთა უმაღლეს კომისრებს ორი ნოტა. პირველში ნათქვამია, ანგორის მთავრობამ, რომელმაც შესცვალა სტამბოლის მთავრობა, უნდა გადაიყვანოს სტამბოლში თავისი მოსამსახურეები და აგრეთვე ჯარების გარნიზონი და ამიტომ ანგორის მთავრობა ფიქრობს, რომ მოკავშირეთა ჯარების მიერ სტამბოლის ოკუპაცია უკვე აღარ არი საჭირო. მეორე ნოტაში ანგორის მთავრობა მოითხოვს, რათა მოკავშირეთა სამხედრო გემები ამიერიდან შემოდიოდენ ოსმალეთის ნავთსადგურებში მხოლოდ ოსმალეთის ხელისუფლების ნებართვით ერთი დღის კარანტინის შემდეგ.

— მოკავშირეთა უმაღლესმა კომისრებმა კატეგორიულად უარყვეს ანგორის მოთხოვნილება სტამბოლიდან მოკავშირეთა ჯარების გაყვანის შესახებ.

მოკავშირეთა უმაღლესმა კომისრებმა შეატყობინეს ანგორის მთავრობას, რომ 1918 წ. ოქტომბერში მუდროსში შემუშავებულ დროებითი ზავისა და მუდანიის ხელშეკრულების თანახმად, მოკავშირეები განაგრძობენ ზემოხსენებულ ხელშეკრულებებში ყველა ოკუპაციებს.

— ლონდონის წრეებში აღშფოთებული არიან ანგორის მოთხოვნილებების გამო, რომელიც მოთავსებულია ანგორის მთავრობის მიერ მოკავშირეთა უმაღლეს კომისრებ-სადმი გაგზავნილ ნოტაში.

— ლონდონის წრეებში აღნიშნავენ, რომ ანგორის ეროვნულ კრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა მთავარი მუხლები ეწინააღმდეგება პარიზის ნოტის 23 სექტემბერის თარიღით და გუდანის კ ფერენციის ხელშეკრულების მუხ ებს. ამიტომ მოკავშირეთა არმიე კვლავ განაგრძნობენ ოკუპაციას.

— აქამდის ჯერ კიდევ არ არ ცნობები სულთანის გადადგომის ' სახებ. ინგლისის ხელისუფლება ღ ბულ ობს ზომებს სულთანისა და სი მემკვიდრეების დასაცავათ.

— სულთანმა დაავალა დიდ ვ ზირს, რათა უკანასკნელმა უარყ ხვები სულთანის გადადგომის შე ხებ.

— სტამბოლში ოსმალურ რაი ნებში გაიმართა მანიფესტაცია ევრო პიელების წინააღმდეგ. არიან და რილები. ევროპიელების საწინააღ დეგო მოძრაობა ქალაქში თანდათ იზრდება.

— სტამბოლში გაიმართა დემო სტრაციები ქემალისტების სასარგე ლოდ. დემონსტრაციების დროს ად გილი ჰქონდა შეტაკებას, რომელ მაც იარაღს მიმართა.

რუსეთი

— 6 ნოემბრეს პეტროგრად დიდის ზეიმით გაიხსნა კომინტერნ კონგრესი, კლარა ცეტკინის შეს ვალი სიტყვით რომელმაც აღნიშნ რომ კონგრესი იმართება მსოფლ ოში ყველაზე უდიდეს რევოლიუ ციის 5 წლის თავზე. კონგრესი თავჯდომარეთ არჩეულ იქმნა ა ზინოვიევი.

— პეტროგრადში კომინტერნი კონკრესზე წაკითხულ იქნა ამხ. ლე ნინის მისასალმებელი სიტყა; რომ ელშიაც ნათქვამია: „დიდათ ვსწუ ვარ, რომ არ შემიძლია დავესწრ კონგრესის პირველ სხდომას. მიუხ დავათ იმ გიგანტიურ სიძნელეთ რომელიც კომპარტიას ელობებ კომინტერნი მაინც მტკიცდება საბ ჭოთა ხელისუფლება დღესასწაულო ბს 5 წლის თავს, იგი კიდევ უფრო მტკიცეა, ვიდრე ოდესმე. სამოქალ ქო ომი დამთავრდა პირველი სამე ურნეო "გამარჯვება ფაქტია. გამარ ჯვება ჩვენ დაგვრჩება. გაუმარჯო კომინტერნს.

წითელი პრესა

ქართველი მენშევიკები ყოველ გზა-ჯვარედინზე გაიძახოდენ, რომ ქართველი მშრომელი ხალხი და მენშევიზმი ე[illegible]-სინონიმებიაო. ბოლშევიკური ხელისუფლება არის ხელოვნურად დანერგული საქართველოში და ამისათვის მას არავითარი ნიადაგი არ აქვს არსებობისაო.

მენშევიკების ამ უაზრო ლაყბობის უარყოფა სულ ადვილია თუ მოვიყვანთ რაიმე ფაქტს საქართველოს მშრომელი ხალხის ცხოვრებიდან. ოქტომბრის რევოლიუციის ხუთი წლის თავის აღსანიშნავი დღესასწაულის ჩატარება თბილისის პროლეტარიატისა და მცხოვრებთა მშრომელი ნაწილის მიერ არის საუკეთესო საბუთი თუ რამდენათ ერთსულოვანი კავშირი არსებობს საბჭოთა მთავრობასა და მშრომელ მასებს შორის.

ამის შესახებ გაზ. „კომუნისტი" სწერს:

„უამრავ ფაქტებს შორის, რომელნიც ამტკიცებენ ქართველი მშრომელი მასის ასეთ დამოკიდებულებას ერთის მხრივ მენშევიკების და მეორე მხრივ კომუნისტური პარტიის მიმართ, შეგვიძლიან დავასახელოთ ჩატარებული ოქტომბრის 5 წლის დღესასწაული. ვინც ნახა ჩვენი დედა-ქალაქი თბილისი შვიდ ნოემბერს, იმას არ შეუძლიან არ სთქვას, რომ ეს დღე იყო მშრომელი მასის გრანდიოზული და გულწრფელი ზეიმის დღე. ეს არ იყო ხელოვნურათ მოწყობილი დღესასწაული, როგორსაც მართავდენ მენშევიკები ამა თუ იმ შემთხვევის გამო, როცა სურდათ დაენახვებიათ ვინმესთვის თავიაანთი მოჩვენებითი ძლიერება და გავლე-



კარლ მარქსი

კომუნიზმის მამა (1818—1883).

კარლ მარქსი იყო შვილი ქალაქ ტირარელ ვექილისა, მაშასადამე იგი დაიბადა წვრილ ბურჟუაზიულ ოჯახში. მაგრამ ამისდა მიუხედავათ იგი გადუდგა თავის ოჯახს და გადავიდა დაბეჩავებულ მუშათა რიგებში. ის თვის საკვირველ გონებით, მიხვდა რომ მუშათა კლასი წარმოადგენს იმ ბუმბერაზ ძალას რომელიც ქვეყნის მართვა გამგეობის ძალა-უფლებას გამოგლიჯავს ხელიდან მტაცებელ კაპიტალს. კარლ მარქსმა თავისი მეცნიერების სიძლიერით 70 წლის წინეთ იწინასწარმეტყველა ის რასაც ეხლა ვხედავთ—მუშათა კლასის გამარჯვება კაპიტალზე მუშურ რევოლიუციის სახით და ამგვარათ დამყარება კომუნიზმისა, მან პირველად, ცხადათ დაასურათა დაქირავებულ შრომის და კაპიტალის შორის რევოლიუციონური ბრძოლა და პირველის საბოლოოდ გამარჯვება თვის გენიალურ ნაწარმოებში „კომუნისტურ მანიფესტში," რომელიც დასწერა 1847 წელს თავის მეგობარ ფრიდრიხ ენგელსთან ერთად. შემდეგ ამ დიად იდეის განმარტება მოათავსა თვის წიგნში „კაპიტალში"

კარლ მარქსი არა თუ იყო მარტო მოაზროვნე მეცნიერი მუშათა კლასისა და წინასწარმეტყველი მუშათა რევოლიუციისა, არამედ ის თვით იყო რევოლიუციონერიც. ახალგაზრდობაში მან თავი გადირჩინა გერმანიიდან გაქცევით, რადგან მა მოელოდა კატორღა რევოლიუცია ში მონაწილეობის მიღებისათვის ემიგრანტობა მან გაატარა უმთავრე სათ ინგლისში. მას თან ახლდა დი დი ოჯახი, უხდებოდა მისი რჩენ რის გამო განიცდიდა დიდ გაჭირვე ბას მაგრამ ის არ გადავიდა ბურჟუ აზიის მხარეს არამედ მან დაარსა პი რველი „ინტერნაციონალი", რომე ლიც სიმშვიდეს ურღვევდა ბურჟუ აზიულ წრეებს. იგი აწყობდა გაფი ცვებს და მხარს უჭერდა ყველა ქვე ყნები მუშათა გამოსვლებს. (მაგალ პარიზის კომუნა 1871 წ.) ბურჟუა ზიისათვის სიტყვა „ინტერნაციონ ლი" წარმოადგენდა უდიდეს საშ ნელებას. სრულიად გასაგებია, რო ბურჟუაზია ყოველგვარ საშუალებ ხმარობდა მის იზოლიაციისათვი ასახლებდნენ ერთ ქვეყნიდან მეორ ში, იჭერდნენ, არ აძლევდნენ ნებ მისი წიგნების დაბეჭდვისას (ისე მოკვდა რომ ვერ მოასწრო თა სი წიგნის „კაპიტალის" დამთავრ ბა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩვენს წითელ ჯარში

სადალაქო გაგვიუქმეს

ჩვენს ცხენოსან ესკადრონს ყავდა თავისი პარიკმახერი ამხ. გარიბიანცი, რომელიც კეთილ სინდისიერად ასრულებდა თავის მოვალეობას; მაგრამ სამწუხაროთ მთელი მისი სამუშაო იარაღები ისე დაძველდა რომ მუშაობა იმით ყოვლად შეუძლებელია. პარიკმახერმა არა ერთხელ და ორჯერ შეიტანა სამნეო ნაწილის უფროსთან პატაკი, რათა შეეძინათ იარაღები, ნაჩხუზი ყოველ დღე ჰპირდებოდა, რომ აი დღეს აი ხვალ მოგცემთ. მაგრამ ბოლოს მნკმ ყიდვის მაგივრათ სრულიად მოსპო ჩვენი სადალაქო; გადაიყვანა ამხ. ღარიბიანი უმწყობრო ვუნდში იმ დროს,. როდესაც ჩვენ მთელ ლეგიონში ერთი კაცი არა გვყავს, რომ პარიკმახერობა გასწიოს, მითუმეტეს იმ დროს, როდესაც ამხ. ღარიბიანცს არ ეხება სამხედრო სამსახური, და მიღებულია ჩვენთან მოხალისეთ. ვერ გამიგია რაშია საქმე? ნუ თუ ლეგიონს იმდენი ფული აღარ აქვს, რომ პარიკმახერს ერთი დანა უყიდოს.

წითელ არმიელთა დავალებით.

წიწაკა.

პოლიტხელიც ასეთი უნდა

ჩვენს ცხენოსან ლეგიონში ორი თვეა რაც მოვიდა პოლიტ.-კურს დამთავრებული ამხ. აკაკი **ფანცულაია**, რომელშიც ყოველ დღე აწყობს საუბრებს და უხსნის წითელ არმიელებს ყველა საკითხებს, რომელიც კი წამოიჭრება.

ამხ. ფანცულაია ყოველ წუთში ჩვენთან არის და ფიქრობს იმაზე, რომ წითელ არმიელებს არ დააკლდეთ, რაც მათ ეკუთვნისთ.

ის მიგვითითებს ყოველ წუთში გიგიენურ სისუფთავეზე, რომელზედაც ყველა წითელ არმიელები უჯერებენ.

ამხ. **ფანცულაია** მაგალითია ყველასათვის, რაც დაამტკიცა მისმა ხელმძღვანელობამ და მუშაობამ 28 ოქტომბერს გამართულ „შაბათობაში“ რომლის ხალისით, ყველა წითელ არმიელები მუშაობდენ ერთგულად.

ასეთ პოლიტხელთან ჩვენ ერთად ვიქნებით და ერთი მის მოწოდებაზე ჩვენ მზად-ვართ მასთან ერთად ვებრძოლოთ საბჭოთა ხელისუფლების მტრებს მშრომელი ხალხის განსათავისუფლებლად.

წით. არმ. **ნ. ნ—ძე.**

პირველ ლეგიონის ცხოვრებიდან.

თუმცა დიდი ხანი არ არის რაც მე მიხდება მუშაობა პირველ ლეგიონში, მაგრამ მაინც შემიძლიან ვსთქვა ორიოდე რამ მის ცხოვრების შესახებ. საპოლიტ. განმანათლებლო მუშაობა წესიერად მიმდინარეობს გაგებულ და ენერგიით სავსე ხელმძღვანელის მეოხებით. დაარსებულია სხვა და სხვა წრეები, რომლებშიდაც ამხ. წითელ არმიელები სიამოვნებით ეწერებიან და მეცადინეობასაც სისტემატიურად აწარმოებენ წრის ხელმძღვანელები. მადლობის ღირსია ამხ. ქვარცხავა პოლიტ. გან. კომისიის თავმჯდომარე ენერგიულ მუშაობისთვის და სამის სათანადო საფეხურზე დაყენებასთვის რაც შეეხება უფშემადგენლობასა და წითელ არმიელთა შორის განწყობილებას კეთილი და ამხანაგურია. მეტადრე სამხედრო ამხ. ენუქიძე და ლეგიონის უფროსი ქუთათელაძე დიდი პატივცემით ეპყრობიან უმცროს ამხანაგებს არმიელებს, რაც მეტ სიყვარულს ჰბადებს არმიელებში მათდამი. ხშირად დამინახავს ამხ. ენუქიძე არმიელებში ტკბილად და მეგობრულად მობაასე ამ ბასში ხშირად შემინიშნავს დარიგების კილო, რაც ფრიად სასიამოვნოა სწორეთ ასეთი გზით შეგვიძლიან გავუჭურჩქნოთ და განვავითაროთ ჩვენი ამხ. წითელ არმიელი, ტანჯულ ხალხის საკეთილდღეოთ.

გაუმარჯოს ჩვენ წითელ მეთაურებს

შალ. გორგაძე.

იმათ რა დააშავეს.

პირველ ქართულ ც. ა. კ-ის მსრ. ლეგიონში როგორც სხვაგან არიან მოსამსახურე ქალები, ამ ქალებთაგანი ზოგიერთი ბედნიერნი ღებულობენ ტანისამოსს, ფეხსაცმელებს და საცვლებს და ზოგიერთნი მოკლებულნი არიან ამ ბედნიერებას. მაგალითად ამ ლეგიონში არის ერთი ამლაგებელი ქალი ტანისლავსკაია რომელსაც ბავშვით ხელში უხდება კანცელარიის თეატრის და სხ. ყოველდღე ალაგება **ჯ**ამაგირს-კი ღებულობს როგორც წ. არმიელი 75 ათას მანეთს. აგერ რვა თვეა რაც ეს ქალი აქ მსახურობს და ამ რვა თვის განმავლობაში მიუღია ისიც ამ წყალობასავით ერთი წყვილი ფეხსაცმელები. იმ დროს როცა ზოგიერთი ბედნიერნი ყველაფერს ღებულობენ.

საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს.

გ. ივანდიძელი.

მეტი ყურადღება

შემთხვევით მომიხდა გავლა ც. 6 ლეგიონში რომ ლიტ. ახალ ბინაზე გადადის და სწარმოებს გაცხარებული მუშაობა. სხვათა შორის ჩემი ყურადღება მიიპყრო წიგნთ საცავ სამკითხველომ. რომლისთვისაც შესანიშნავი ბინა ამოურჩევიათ. თუმცა წიგნები ჯერ-ჯერობით ცოტა აქვთ, მაგრამ წიგნ-საცავ სამკითხველოს გამგე ამხ. საკოვი, რომელმაც ჩინებულად დაასრულა პოლიტ-კურსები, საბიბლიოთეკო განყოფილება, მე მგონია შესძლებს ესკადრონში საბიბლიოთეკო საქმის თავის დონეზე დაყენებას.

ამისათვის უსურვებ ამხ. საკოვს მეტ-ენერგიას და უნარიანობას მაზე დაკისრებულ საქმეში.

ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ წ. არ. დიდის უნდობლობის თვალით უმზერენ სამნეო ნაწილის გამგეს.

ბევრი რომ ითქვა ამ ბოლო დროს გაზეთში მის შესახებ, მაგრამ დარჩა უყურადღებოთ,

დროა მიექცეს ყურადღება ვისგანაც ჯერ არს.

„დუბლიკატი“

რაშია საქმე

ხშირათ და თითქმის ყოველ დღე შეხვდებით ჩვენს ცხენოსან ლეგიონში ასეთ მოვლენას: საჭირო არის, რომ წითელ-არმიელმა ხელი მოაწეროს ან ჯამაგირის მიღების დროს ან კიდევ სხვა რაიმე შემთხვევებში; მაგრამ ის არ აწერს ხელს და ამბობს „მე წერა არ ვიციო“. და ეს მაშინ, როცა წერა კითხვის უცოდინართა ლიკვიდაცია ჩვენს ნაწილში თითქმის ჩატარდა რაიც 90 პროც. აღწევდა. წითელ არმიელი ხელს არ აწერს აქ უკვე რაღაცა განძრახვით არის.. მაინც და მაინც რაშია საქმე???

ალბათ ასე ჰგონიათ, რომ: ჩვენ თუ წერა-კითხვის ცოდნას გამოვამჟღავნებთ უფრო დიდ ხანს ვიმსახურებთ ჯარშით მაგრამ ამხანაგებო, ეს შეცდარი აზრია თქვენ ამით მხოლოთ და მხოლოთ თქვენ მასწავლებელს უკარგავთ სახელს და მის ღირსეულ მუშაობას არ აფასებთ.

პარტიული ცხოვრება

მე-2-რე ქართულ ლეგიონში.

8 ოქტომბერს შესდგა მეორე ლეგიონის პოლიტგანმანათლებელი სექციის და წრეების ხელმძღვანელების კრება. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. ბახტაძე მდივნად უგულავა.

დღის წესრიგში იდგა საკითხები:

1. სექციეების გამგეების და წრეების ხელმძღვანელების მოხსენება.
2. კინო თეატრების შესახებ.
3. წრეებში სამუშაო დროს დანიშვნა;
4. ასეულებში მისამაგრებელი ამხანაგების დანიშვნა;
5. ოქტომბრის რევოლიუციის ჩატარება;
6. წრეების ხელმძღვანელების დანიშვნა;

დრამატ. სტუდიის შესახებ მოხსენება.

დრამ. სტუდიიდან მოხსენებას აკეთებს გამგე, რომელიც აღნიშნავს რომ დღემდის მუშაობა არ იყო, **სათანადო დონეზე დაყენებული.** ეს ერთის მხრივ მიეწერება იმას: რომ ლეგიონი გაფანტული არის-ოც ვერსზედ და მეორე მხრივ არ არის არც სახელმძღვანელოები და არც შესაფერი სცენა. მიღებული იქნა რეზოლიუცია მიეცეს წინადადება დრამსტუდიის ხელმძღვანელს, პირველ ნოემბრამდე მოაწყოს სტუდია.

მოხსენებას აკეთებს ლიტოს შესახებ ლიტოს გამგე, რომლის მოხსენების გამო კრება ადგენს: მიეცეს წინადადება, წარმოადგინოს ოქტომბრის თვის პროგრამა, მოახდინოს ერთი ლიტერატურული გასამართლება და პირველ ნოემბრისათვის მოახდინოს საზეიმო გამოშვება ლიტერატურული ჟურნალისა.

სამხატვრო სტუდია.

სამხატვრო სტუდიიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. გოცირიძე, რომელიც თხოულობს პოლიტგანყოფილების განკარგულებაში გადაგზავნას. მოხსენება კრებამ მიიღო ცნობათ.

სასპორტო წრის შესახებ.

მოხსენებას აკეთებს სასპორტო წრის შესახებ ხელმძღვანელი რომელიც აღნიშნავს, რომ დღემდის ამ დარგში არ იყო მუშაობა იმიტომ, რომ არ იყო საჭირო მასალა

მომზადებული იქნას პირველ ნოემბრისათვის ორი თავისუფალი მოძრავი ფიგურა და შვიდი ნოემბრისათვის კი მოაწყოს სასპორტო საღამო.

შემდეგ მოხსენებას აკეთებენ საჯკოლო, საკლუბო და საბიბლიოთეკო სექციების გამგეები, რომელნიც აღნიშნავენ სექციების ნაყოფიერ მუშაობას.

კინოს შესახებ.

კინოს შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ბახტაძე და ამბობს: კინო დღეს გადმოგვაქვს ლეგიონში, რის გამოც კინოს მუშაობა დროებით შეჩერებულია

კრება ავალებს ამხ. ბახტაძე, რათა სასწრაფოდ იქნეს ამუშავებული კინო.

ოქტომბრის რევოლიუციის ჩასატარებლად კრება კომისიაში ირჩევს ამხ. კუპრაშვილს; პარტწრის ხელმძღვანელის გამონახვა დაევალოს ამხ. ბახტაძეს.

განმანათლებელი კომისიის თავმჯდომარედ არჩეული იქმნა ამხ. ს. ბოლქვაძე.

ყარაჩოღელი

პატარა ფელეტონი

№ ნაწილში

შუაღამე გადასული იყო... ის იჯდა თავის კაბინეთში, სავარძლის საზურგეზე მიყუდებული ღრმა ფიქრებს მისცემოდა... ელექტრონი ეკვე ჩასაქრობათ ბჟუტავდა.

— როგორ!? ხა! ხა! ხა! — დაირღვა სიჩუმე — მე მიბრძანებენ?

და.. სახეზე სიბრაზის ალბექვდის შემდეგ ჩაეძინა...

მას ნაბრძანები ჰქონდა ოქტომბრის ხუთი წლის თავის ჩატარება თავის ნაწილშიდა... სიზმარშია.

ხედავს სასიხარულო ამბავს: ბოლშევიკები დამარცხდნენ და აფრიკაში გარბიან ეს-კი დასცინის, უხარიან, რომ უბრუნდება ნეტარი დღე წარსულისა, კვლავ ბრძანებელი იქნება, „დენშჩიკები“ ეყოლება, მხარზე ბრჭყვიალა „ეპოლეტები“ ყველა გამოეჭიმება და „ამხანაგობით“ ლაპარაკს ვეღარ გაუბედავენ, „ვაშე სიატელსტვოთი“ მიმართავენ. ახ, რა კარგია, რა კარგი!

და იმ დროს, როდესაც დივიზიის უფროსი მოლოდინში ჩაამწკრივა რაზმი „საპარადოთ“ ხედავს ვიღაც ბოლშევიკების გაქცევას, რომელთაც ის აიძულეს ემსახურა წ. ჯარში და... ხმალ ამოწვდილი უბრძანებს დადევნებას“ მაგრამ ჯარი არ უსმენს საპატივცემლოდ ხელში აღებულ თოფებით ჩამწკრივებულა და ვიღასაც ელის... ხედავს მოდის უზარმაზარი კაცი წითელ ტანსაცმელში გამოწყობილი, დამკლავებული ეროთი მხარზე და ესალმება წითელ ლაშქარს... ლაშქარი ხარობს... და რა მოვიდა უფროსთან, ერთი შეჰბღვირა მოუღერა ერო და... შიშისაგან შეჰყვირა ამან.

— .ვაი-მე!!! — იატაკზე აიშხლართა და მიმოიხედა ირგვლივ. უკვე გათენებულიყო, ისმოდა „ვაშა“ და „ინტერნაციონალი“ ორკესტრებით.

— ამხ. ... თავო, ჯარი გამწკრივებულია, დივიზიის უფროსი ათვალიერებს უკვე და თქვენ.. ბოდიშით წარუდგა „ადიუტანტი“

— ჰმ!..

ყიულიყო.

ჟუმბარა

ევროპაში, დღე დღეზე
ირღვევა მყუდროება
ქვეყანას მოევლინა
რაღაც საშინელება.

და ეს არის ფაშიზმი
(იტალიის ველებით)
მოჰფინეს ქალაქები
თავიანთი გველებით.

ჩაიგდეს ძალა ხელში
და მუშებზე შეტევით
გადმოვიდნენ მაგრამ, ო,
ვერ აიწევენ ზევით.

კომინტერნი ამაყი
თავის წითელ ხელებით
მალე ყელში წაუჭერს
და დაახრჩობს ხველებით.

წერილი რედაქციის მიმართ.

ამხ. რედაქტორო:

ნება მიბოძეთ ჩემი გაზ. „წითელ არმიელის“ საშვალებით პასუხი გავსცე მოქ. „ყურბანას“ რომელიც ამავე გაზეთის № 121-ში ცილსა მწამებს, ვითომც მე საფარაჯე მატერია მიმეღოს იმის შემდეგ რაც საკანტროლო კომისიის წევრად ამირჩიეს და ამით სურს ჩირქი მომცხოს. მე ვაცხადებ, რომ მოქ. „ყურბანა სასტიკათ სტყუის მე მივიღე მატერია 13 სექტემბერს და კომისიის წევრად კი ამირჩიეს 15-ს აქედან ცხადია რომ მატერიის მიღებასთან ჩემს კომისიის წევრობას არავითარი კავშირი არა აქვს

რაც შეეხება თითქოს კომისია ყურადღებას არ აქცევდეს და საფარაჯე მატერიას „ჩინჩი“ სჭამდეს, ესეც არაა მართალი, საკანტროლო კომისიამ ის უკვე გაგზავნა შესაკერად და შეკერილიც არის.

ფანცულაია.

ნება დართულია სამხედრო ცენზორისაგან.

პასუხის-მგებელი რედაქტორი **პ. ქუთათელაძე.**